

დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მიმართულება - ხელოვნებათმცოდნეობა

ირმა დოლიძე

2018 წლის სამუშაო თემატიკა

თეატრის ისტორიაში და ზოგადად, ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან, აქტუალურ და ჯერაც ნაკლებ შესწავლილ და, ამავედროულად, კომპლექსური კვლევის საგანს წარმოადგენს სათეატრო არქიტექტურა. ამ მიმართულებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი (უმეტესად სტატიები) და ერთი მონოგრაფიაა. კერძოდ,

1. ი. ციციშვილი, სათეატრო შენობები, თბილისი, 1977 წ. (ბროშურაში /50 გვერდი/ მოცემულია სათეატრო ნაგებობების ზოგადი მიმოხილვა ანტიკური პერიოდიდან XX საუკუნის ჩათვლით, მათ შორის საქართველოს თეატრებზე მცირე ექსკურსით);

2. ი. დოლიძე, სათეატრო არქიტექტურა საქართველოში, თბილისი, 2005 წ. (248 გვერდი), რომელშიც სათეატრო არქიტექტურის ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე ისტორიულ ჭრილშია წარმოდგენილი და დეტალურადაა განხილული XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის სათეატრო არქიტექტურის ნიმუშები თბილისში.

თბილისის, როგორც დედაქალაქის როლი, სათეატრო ხელოვნების, ზოგადად, და, მათ შორის, სათეატრო არქიტექტურის ისტორიაში მართლაც განსაკუთრებული და გამორჩეულია, მაგრამ იგი მხოლოდ ერთი, შემადგენელი ნაწილია იმ საერთო მოზაიკისა, რომლის უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან სურათს საქართველოს რეგიონებში დღემდე შემორჩენილი და აქამდე შეუსწავლელი სათეატრო ნაგებობები გვთავაზობენ.

კვლევის საგანია, ასევე, საქართველოს არქივებში, მუზეუმების ფონდებსა თუ საცავებში დაცული როგორც დღემდე მოღწეული, ისე უკვე აღარარსებული სათეატრო არქიტექტურის ნიმუშების ამსახველი და მასთან დაკავშირებული გრაფიკული, ფოტო, ტექსტური მასალები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ მნიშვნელოვანია სათეატრო არქიტექტურის კვლევა სწორედ ამ მიმართულებით წარიმართოს და მომზადდეს ნაშრომი სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრზე (1899 წ.), როგორც დღემდე შემორჩენილ ერთ-ერთ უძველეს სათეატრო ნაგებობაზე საქართველოში და ბორჯომის საზაფხულო თეატრზე (1895 წ. არქიტექტორი –

პაულ შტერნი), როგორც XIX საუკუნის სათეატრო არქიტექტურის მეტად საინტერესო და დისრშესანიშნავ ნიმუშზე.

1. სოფ. ქვემო მაჩხანის თეატრი

კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო მაჩხანში, სოფლის ცენტრში დგას ორსართულიანი შენობა. ეს ერთ-ერთი ძველი და კარგად შემონახული სათეატრო ნაგებობაა საქართველოში. მისი მშენებლობა 1899 წელს დასრულდა და ამავე წლის 25 ივლისს გაიხსნა აქვ. ცაგარელის კომედიით „ხანუმა“. თეატრი ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით და დაფინანსებით აიგო.

რატომ და რით არის მნიშვნელოვანი საქართველოს ერთ-ერთ სოფელში მე-19 საუკუნეში აგებული თეატრი?

ამ დროისათვის თბილისში უკვე აგებულია (1880-1896 წწ.) და მოქმედებს სახაზინო ოპერის თეატრი, ახალი დაწყებულია რუსთაველის თეატრის (1898-1901 წწ.) მშენებლობა, სულ რაღაც ორ წელიწადში კი საფუძველი ჩაეყრება მარჯანიშვილის თეატრს (1902-1907 წწ.). დღესაც მოქმედი ეს თეატრები პირვანდელი სახით არ შემორჩენილა, აღარაფერს ვამბობთ სათეატრო ინვენტარზე, რომელიც უმეტესწილად არ შემორჩენილა - ხანძრის შედეგად განადგურდა ოპერისა და რუსთაველის თეატრები, მრავალჯობის რეკონსტრუქცია განიცადა მარჯანიშვილის თეატრმა და აი, ამ ფონზე თავდაპირველი სახით სოფ. ქვემო მაჩხანში შემორჩენილი თეატრი - ავთენტური ინტერიერით, ავეჯით, სასცენო კონსტრუქციებით, იარუსის სავარძლებითა და სკამებით - სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა.

ქვემო მაჩხანის თეატრს მბრუნავი სცენა უნდა ჰქონოდა, რაც იმ დროისათვის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სიახლე იყო. იგი შესვენებების გარეშე, დეკორაციების სწრაფად ცვლის და ანტრაქტების შემცირების საშუალებას იძლეოდა. მბრუნავი სცენის ისტორია კი იმ დროისათვის სულ რამდენიმე წელს ითვლიდა. იგი ცნობილმა თეატრალურმა მექანიკოსმა კარლ ლაუტენშლეგერმა გამოიგონა და პირველად 1896 წელს მიუნხენის რეზიდენც-თეატრში გამოიყენა. რუსეთში მცირე თეატრის გარდა, მბრუნავი სცენა სამხატვრო თეატრში იყო. სულ რაღაც ორ წელიწადში მას თბილისში „არტისტული საზოგადოების“ ანუ რუსთაველის თეატრში აკეთებენ (1898-1901 წწ.). მბრუნავი სცენა აქვს ამავე პერიოდში აგებულ სოფ. ქვემო მაჩხანის თეატრსაც, რითაც ის დედაქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის გვერდით დგას და უფრო ფართო კონტექსტში კი იმ ერთეულ თეატრებს შორის ევროპის მასშტაბით, სადაც უახლესი ტექნოლოგიები გამოყენებული.

სათეატრო შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

2. ბორჯომის საზაფხულო თეატრი

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ძველი ქართული ხელოვნების ხუროთმოძღვრული ძეგლების ნახაზებისა და ანაზომების ფონდში დაცულია ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტი (დედანი) ხელმოწერილი არქიტექტორ შტერნის მიერ. პროექტი დათარიღებულია 1895 წლით.

საზაფხულო თეატრის ასაშენებლად მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა მოიწვია თბილისში დამკვიდრებული პაულ შტერნი, რომელიც იმ დროისათვის თბილისის ოპერის თეატრის მშენებლობას ხელმძღვანელობდა.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ბორჯომის „მინერალური წყლის“ პარკის გენერალური გეგმა, რომელზეც დატანილია თეატრის შენობა.

საინტერესო ინფორმაციას ვეცნობით პრესაშიც. 1895 წლის 18 ივლისის გაზეთ „ივერიაში“ (№151) საუბარია ბორჯომის თეატრის იჯარით აღებაზე ზაფხულის განმავლობაში, რომ 18 ივლისიდან აქ წარმოდგენებს გამართავს ხარკოვის დრამატული დასი – სულ 5-6 წარმოდგენას. ამავე დროს ჩამოვა ქართული დასი მ. საფაროვას მეთაურობით და გამართავს წარმოდგენებს. ქართული დასი სეზონის ბოლომდე დარჩება.

ამდენად, 1895 წელს ბორჯომში უკვე ფუნქციონირებს თეატრი. პ. შტერნის პროექტიც 1895 წელსაა მომზადებული. აშენდა თუ არა კონკრეტულად ეს თეატრი? გრ. მოსკოვის გზამკვლევის ინფორმაციით, „მინერალური წყლის“ პარკში თეატრია, რომელიც 1897 წელს აშენდა და მისი ლოკაცია ზუსტად ემთხვევა გენერალურ გეგმაზე მოცემულ სათეატრო შენობის ადგილმდებარეობას. არის თუ არა ეს პაულ შტერნის დაპროექტებული თეატრი? თუ არა – რომელ და რა სახის თეატრთან გვაქვს საქმე?

მიუხედავად იმისა აშენდა თუ არა შტერნისეული თეატრი, ეს არ ამცირებს მის მნიშვნელოვნებას, ფაქტია რომ XIX საუკუნის ბოლოსთვის ბორჯომში, სადაც უკვე არის თეატრი (სავარაუდოდ ხის), დგება ახალი სათეატრო ნაგებობის მშენებლობის საკითხი, განსაზღვრულია მისი ადგილი ქალაქის განაშენიანებაში, მუშავდება პროექტი, რომელზეც სათეატრო არქიტექტურის სპეციფიკის მცოდნე არქიტექტორია მოწვეული.

ამდენად, ერთსა და იმავე პერიოდში, საქართველოს ორ სხვადასხვა კუთხეში, განსხვავებული სახის, მასშტაბის სათეატრო ნაგებობები პროექტდება და შენდება. განსხვავებულია დამკვეთი – ერთ შემთხვევაში საიმპერატორო ოჯახი, მეორეში – სოფლის მოსახლეობა. XIX საუკუნის ქართული კულტურის თავისებურებათა გააზრების კიდევ ერთი საინტერესო პლასტი.

კვლევის შედეგად, ვფიქრობ მომზადდეს გამოცემა XIX საუკუნის სათეატრო არქიტექტურის შესახებ ქვემო მაჩხაანისა და ბორჯომის თეატრებზე შესაბამისი საილუსტრაციო მასალით (საარქივო ფოტოები, პროექტები და ა.შ).

